პოლიტეკნიკური სალბრიგისათვის

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რედქტორატის პროფორგ. ორგანო

რედაქცია ტფილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1 (უნივერსიტეტის შენობა)

ფასი 20 კაპ.

№ 8 (15) | 20 მაისი 1934 წ. | № 8 (15)

დღეს ნომერში

არც ერთი წუთის გაცდენა (ნაწერი)
პარტკომის დადგენილება.
საკლუბო მუშაობა უნდა გაჯანსაღდეს
როგორ ვატარებთ პრაქტიკას.
გეოგრაფია ჩამორჩა.
დამკვრელი ლექტორები.

არც ერთი წუთის გაცდენა

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ უნივერსიტეტის პარტკომის დადგენილებას „დისციპლინის განმტკიცების და სწავლების ხარისხის კიდევ უფრო მეტად ამაღლების ერთთვიურის ჩატარების შესახებ“. ამ დადგენილების წარმატებით განხორციელება უდიდეს საბრძოლო ამოცანად უნდა გადაიქცეს, როგორც თვითეული სტუდენტისათვის ისე პედაგოგიურ და ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალისათვის.

უკვე ახლოვდება დრო, როდესაც შემოწმებული უნდა იქნას, ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობა უმაღლეს სასწავლებლების საკავშირო კონკურსისათვის აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიხედვით. ეს შემოწმება ბრწყინვალედ გადასჭრის საკითხს იმის შესახებ, გამოვალთ თუ არა ჩვენ ამ შეჯიბრებიდან გამარჯვებული.

მთელი ჩვენი მუშაობა მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ მაქსიმალურად გავაძლიეროთ ბრძოლა ხარმაცების, სამეულ-ანტების და ყოველი სახის გაცდენების წინააღმდეგ და სწავლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები ავიყვანოთ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე.

სამწუხაროდ ჩვენ ჯერ კიდევ მოგვეპოება ისეთი სტუდენტები, რომელთაც საკმაოდ არა აქვთ შეგნებული საკავშირო სოც-შეჯიბრებაში ჩვენი მონაწილეობის უდიდესი მნიშვნელობა. ისინი სუსტად იბრძვიან დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ასეთი სტუდენტები ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში შავ დაფაზე გვყავს ჩვენ გაკრული. შემდგომისათვის მსგავს უყაირათო ელემენტების წინააღმდეგ კიდევ უფრო მკაცრი ზომები იქნება მიღებული. სასტიკი ზომები იქნება აგრეთვე მიღებული ისეთი პედ-პერსონალთა წინააღმდეგ, რომლებიც უმიზეზოდ გააცდენენ ლექციებს ან და რაიმე მიზეზებით დაბლა დასწევენ სწავლის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ჩვენ ერთი წუთითაც არ დაუშვებთ სწავლების საქმეში აღებულ ტემპების შენელებას, პირიქით, ამოცანა იმაში მდგომარეობს რომ კიდევ უფრო ავწიოთ ტემპები, გაცდენები დავიყვანოთ ნოლამდე, განვამტკიცოთ სასწავლო რეჟიმი და შევქმნათ ყოველგვარი საფუძველი მაღალ კვალიფიციურ კადრების მომზადებისათვის.

უდაოა, რომ ამ ამოცანის წარმატებით შესრულების საქმეში თითეულ პარტიისა და კომკავშირის წევრმა ენერგიულად უნდა იბრძოლოს ავანგარდული როლის მოპოებისათვის. მთელი ამ მუშაობის მიმდინარეობას სათავეში უნდა ჩაუდგენ პარტიული ორგანიზაციები და ყოველ მხრივად უნდა უზრუნველყონ უპარტიო სტუდენტების მტკიცედ დარაზმვა.

მთავარი ის არის, რომ ჩამორჩენილ სტუდენტებს გავუწიოთ ნამდვილი პრაქტიკული დახმარება. სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ძლიერ სტუდენტებიდან, განსაკუთრებით კი პროფესორ-პედაგოგიურ შემადგენლობიდან (ჩამორჩენილთათვის საუბრების ჩატარება, დამატებითი ლექციები, კონსულტაციები, საკავალო დავალებები და სხვა).

სუსტ სტუდენტებზე დახმარება უნდა იყოს იმ მუშაობის გაგრძელება, რომელიც მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ტარდებოდა, მხოლოდ უფრო გაძლიერებული სახით.

ერთთვიურს ფართოდ უნდა გამოეხმაუროს უნივერსიტეტის ყველა ორგანიზაციები. ეს საკითხი უნდა დამუშავდეს თითოეულ ფაკულტეტზე, თვითეულ ჯგუფში, თვითეულ კათედრაზე ის დაყვანილ უნდა იქნას თვითეულ სტუდენტამდე, პროფესორ-ლექტორამდე. ამ მხრივ საანადო მუშაობა ადგილკომმა უნდა ჩაატაროს.

უნივერსიტეტში არსებულმა ყველა ორგანიზაციამ ბოლშევიკური მუშაობა უნდა გააჩაღოს ერთთვიურის წარმატებით ჩასატარებლად, გაცდენების სრული ლიკვიდაციისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის, სწავლების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის, რათა თბილისის სახ. უნივერსიტეტი უმაღლეს სასწავლებლების საკავშირო კონკურსის შემოწმებისას მოწინავეთა რიგებში ჩადგეს.

ერთთვიურის ბოლოს

... ...

დადგა გადამღყვეტი დღეები გაცდენების ნულამდე დაყვანისათვის ბრძოლის საქმეში

თვითეული პროფესორი, ლექტორი, სტუდენტი, ადმინისტრატიული და ტექნიკური პერსონალი მოვალეა, შეამოწმოს თავისი მუშაობა საკავშირო კონკურსში ჩვენი გამარჯვების მოსაპოვებლად

ერთთვიურის კამპანიის მასალებით

(ეკონომიური ფაკულტეტი)

წითელი დაფა

1. ჯგუფი № 9 (პ/ორგ. ლომაძე ი.) სრულებით არ აქვს გაცდ.
2. „ № 2 („ ხუჭუა მარო)
3. „ № 16 „ ბაღდავაძე

შავი დაფა

ჯგუფი № 14-ის სამკუთხ. გაც-ნის ჯამი—66 საათი.

სტუდენტები

1. დოლიძე სერგო. გააცდინა 1—2 დეკადში—26 საათი
2. მიქაბერიძე ნინა. „ „ „ „ —14 „
3. ჭოხონელიძე თამარა „ „ „ „ —26 „
4. აბდუშელიშვილი. „ „ „ —6 „
5. ბურცხიკაძე მედეია „ „ „ —6 „
6. გოლეთიანი პინა „ „ „ —6 „
7. კობახიძე ანდრო „ „ „ —6 „
8. ნადარეიშვილი საშა „ „ „ —7 „

ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ

ჩვენ საშვალება გვქონდა გავცნობოდით საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტების ცოდნას გეოგრაფიაში. სამწუხაროდ არიან სტუდენტები, რომელთაც არ შეუძლიათ რუქაზე უჩვენონ მხარეები, საბჭოთა კავშირის საზღვრები და სხვა. ეს არანორმალური მდგომარეობაა, მით უმეტეს, რომ ამ ფაკულტეტზე დანარჩენი (ძირითადი) დისციპლინების (ბოტანიკა, გეოლოგია და სხვა) შესწავლა შეუძლებელია თუ გეოგრაფიდან სტუდენტს საკმაო ცოდნა არ აქვს.

მდგომარეობა მოითხოვს ყურადღების გამახვილებას. ამიტომ საჭიროა გატარდეს შემდეგი კონკრეტული ღონისძიებები:

1. საბ. ფაკულტეტის ყველა პროფილებზე სასწავლო გეგმაში უნდა იქნეს შეტანილი საგანი „ზოგადი გეოგრაფია“ (თვით მესამე კურს-ზე კი). მოწვეული უნდა იქნეს საუკეთესო მასწავლებლები და წაკითხვა დაიწყოს სექტემბრიდანვე.

2 სათანადოთ უნდა იქნეს გამდიდრებული გეოგრაფიული კაბინეტი სასწავლო რუქებით.

3. გეოგრაფიული წრეები უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც საერთო საცხოვრებლებში ისე საბ. სამეცნიერო წრესთან. საბუნ. ფაკულტეტმა ამ მხრივ უნდა შესძლოს თვალსაჩინო მიღწევების მიღება და ამ საგანში უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ტ. ᲩᲘᲩᲣᲐ

ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲗ

ეკ. ფაკ. საფ. სავაჭრო სექციის მე-2-რე კურსის №21 ჯგუფს თავის მუშაობაში აქვს მთელი რიგი მიღწევები:

ჯგუფს ყავს, როგორც აკადემიურად ისე საზოგადოებრივად მოწინავე სტუდენტები. ასეთებია: ი. მასხულია, ნ. ტატიშვილი, დ. ჯახუა, ა. ჯაფარიძე, გ. პლოხოტნიკოვი· და სხვა. მათი ენერგიული მუშაობის გამო, ისინი არა ერთხელ იყვნენ ჯგუფის წითელ დაფაზე გაკრული. ხელმძღვანელობენ აკადემიურ რგოლებს და ყოველმხრივ ხელს უწყობენ აკადემ· ჩამორჩენილ სტუდენტების დაწინაურებას.

ჯგუფის მიერ მარტში არა საპატიო მიზეზებით გაცდენა უდრიდა 22 აკად. საათს, აპრილში სამკუთხედის ენერგიული მუშაობით ის დავიდა 6 საათამდე. ჯგუფი იბრძვის გაცდენების ნოლამდე დაყვანისათვის.

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ეკონ. ფაკულტეტის სავაჭრო სექციის მე-6-ჯგ. მათემატიკაში ლექციებს კითხულობს ლექტორი **შარაშენიძე**. მას არ აქვს არც ერთი გაცდენა-დაგვიანება. ლექტორი არ ზოგავს ენერგიას რათა ჯგუფმა შეითვისოს საგანი.ის ატარებს დამატებით საათებს ჩამორჩენილ სტუდენტებისათვის ყოველ ექვსდღიურში ორჯერ. ამის შემდეგ სუსტი სტუდენტები მოწინავეთა რიგებში დგებიან. ლექტორ-შარაშენიძის მოქმედება მისაბაძია.

ალ. ᲓᲝᲑᲝᲠᲯᲒᲘᲜᲘᲫᲔ

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲜᲢᲘ

ზოოლოგიურ კათედრაზე მომუშავე ლაბორანტი ამხ. ს. ᲑᲐᲛᲪᲔᲛᲚᲘᲫᲔ საუკეთესო მუშაობის მაგალითს იძლევა. მის მიერ, კათედრის დავალებით სანიმუშოდ იქნა ჩატარებული კონსულტაცია ყველა მეორე კურსებზე მიკროსკოპის ჩვენებით. ამ გარემოებამ დიდათ შეუწყო ხელი საგნის შესწავლას.

Д. ᲝᲩᲘᲒᲐᲕᲐ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ

საბუნებისმეტყველო ფაკულტ. ქიმიური მე-2 კურსის № 73 ჯგუფის სამკუთხედმა გაშალა მუშაობა სუსტ სტუდენტთა დასახმარებლად. ჩამოყალიბებულ იქნა ჯგუფები საგნებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კათედრებიდან მომაგრებული სტუდენტები. **მაგ. ქიმიაში—ახმეტელი და არეშიძე, მათემატიკაში—ბერიშვილი, რუსულ ენაში** თვით ლექტორი **ქინქლაძე.**

ჯგუფი ყველა საგნებში ასრულებს პროგრამას, გარდა ფიზიკისა, რომელშიც ლექტორის ქუთაისის პედინსტიტუტში მივლინების გამო გაცდენილია **20 საათი**, ამიტომ საჭიროა აღვადგინოთ გაცდენილი საათები და აღმოვფხვრათ გარღვევა.

აკადემიურ და საზოგადოებრივ ფრონტზე მოწინავე სტუდენტებია: **უთმელიძე, ჩხეტია, ბერიშვილი, მჭედლიშვილი, ხიდაშელი, ქუტიძე, ღაჭავა და ყიასაშვილი.**

ჯგუფის დამკვრელი ხელმძღვანელი
ვ. ᲣᲗᲛᲔᲚᲘᲫᲔ

Გ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲓᲐᲕ. ᲑᲐᲯᲔᲚᲘᲫᲔ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ Კ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

იმისათვის, რომ სტუდენტთა ქალაქის საერთო საცხოვრებელში ამხ. დ. ბაჯელიძე ღამის 2 საათზე მოვიდა მთვრალი მოაღდინა დებოში და ამით დაარღვია საცხოვრებლის დისციპლინა. რაც სავსებით სწორად აღნიშნა გაზ. ,,ბოლშევიკური კადრებისათვის“მა აგრეთვე იმისათვის, რომ იგი ქურდობისა და ხულიგნურ მოქმედებისათვის საზოგადოებრივ გასამართლებით გარიცხული იყო ერთხელ კ. კ. ორგანიზაციიდან კომიტეტის ბიურო **ადგენს:**

ნაცვლად უჯრედის მიერ გამოცხადებულ საყვედურისა ამხ. **დავით ბაჯელიძე** გაირიცხოს კ. კ. ორგანიზაციიდან და გამოსახლებულ იქნას საერთო საცხოვრებლიდან.

დაისვას საკითხი რექტორის წინაშე მისი უნივერსიტეტიდან გარიცხვის შესახებ.

იმისათვის, რომ საგეგმო განყოფილების კ. კ. უჯრედის დრ. მდივანი ამხ. **ფაცურია**, შეეცადა კომიტეტი შეცდომაში შეეყვანა გამოეცხადოს საყვედური. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ნაბეჭდ გაზეთში.-

საქ. ალკ. კ. სახუნტის კ. კომიეტეტის
პ/მᲬ. მდივანი ვ. ᲕᲐᲭᲐᲠᲐᲫᲔ

ᲪᲜᲝᲑᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲒᲐᲪᲓᲔᲜᲔᲑᲖᲔ

30/IV—6/V-დე

№№ რიგზე	ფაკულტეტის დასახელება	გეგმით უნდა წაკითხულიყო	გაცდენილია	პროცენტ.	საპატიო მიზეზით	პროცენტ.	არა საპატიო მიზეზით	პროცენტ.
1	ეკონომიური	18.987	933	4,91	514	2,70	419	2,21
2	საბჭ. აღ. სამართ. ფაკ.	4.126	118	2,85	112	2,71	6	0,14
3	ისტორიულ-ლიტ. . .	8.977	232	2.58	222	2,47	10	0,11
4	ფიზიკო-მათემატ. . .	6.234	455	7,29	415	6,64	40	0,65
5	საბუნებისმეტყველო. .	8.508	398	4,64	308	3,62	90	1,05
	ᲡᲣᲚ .	46.832	2.136	4,56	15.71	3,36	5.66	1,20
	6/V — 12 V-დე							
1	ეკონომიური ფაკ. . .	18.987	1.066	5,61	820	4,31	246	1,30
2	საბჭ. აღ. სამართ. ფაკ.	4.126	194	4,70	183	4,44	11	0,26
3	ისტორიულ-ლიტ. . .	8.977	474	5,28	470	5,24	4	0,04
4	ფიზიკო-მათემატ. . .	6.234	368	5,90	250	4,01	118	1,89
5	საბუნებისმეტყველო .	8.508	396	4,65	159	1,87	237	2,78
	ᲡᲣᲚ .	46.832	2.488	5,29	1.872	3,96	616	1,33

ᲪᲜᲝᲑᲐ ᲞᲔᲓ-ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲪᲓᲔᲜᲔᲑᲖᲔ

		გეგმით უნდა წაკითხულიყო	გაცდენილია	პროცენტ.	საპატიო მიზეზით	პროცენტ.	არა საპატ. მიზეზით	პროცენტ.
30/IV—6/V-დე	2257	10	0,44	4	0,17	6	0,27	
6/V—12/V-დე	2257	18	0,79	8	0,35	10	0,44	

საკლუბო მუშაობა უნდა გაჯანსაღდეს

თავის დადგენილებაში ამხ. ს. ორჯონკიძის სახელობის რაიკომმა „უნივერსიტეტის პარტორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ სუსტად ჩასთვალა საკლუბო მუშაობა.

ამ დადგენილების რეალიზაციის შედეგად საკლუბო მუშაობას ნაწილობრივ დაეტყო გაუმჯობესება, მაგრამ იქ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩამორჩენას. ეს იმით აიხსნება, რომ ამ საქმეს კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ვერ უწევენ სათანადო დახმარებას. საკლუბო მუშაობაზე მიმაგრებულ ამხანაგებს არ უქმნიან პირობებს. ასე მაგალითად: **გაჩეჩილაძე თამარი გარიცხენ კომკავშირიდან, იმიტომ, რომ მას რეპეტიციებზე დასწრების გამო გაუცდა ორი ლექცია. თავაძე შურას გამოეცხადა საყვედური იმის გამო, რომ ის აქტიურად იყო ჩაბმული საკლუბო მუშაობაში და ამ მიზეზით ის ზოგჯერ ვერ ესწრებოდა კრებებს.** ამავე მიზეზით შავ დაფაზე გააკრეს კობალავა შალვა და სხვა. ამ გარემოებამ დააფრთხო მთელი რიგი აქტიურად მომუშავე ამხანაგები და ამჟამად თითქმის ყველა გაურბის საკლუბო მუშაობას. ამ გარემოებას დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება.

ს. ფაჩულია.

სანამ უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

ყოველ მეცნიერულ დისციპლინაში მიღებული სასწავლო გეგმები, რომ წარმატებით სრულდებოდეს, საჭიროა მუშაობის ნორმალურ პირობების შექმნა. სწორედ ასეთ პირობებს მოკლებულია არა ორგანიულ ქიმიის ლაბორატორია, რომელიც არა ერთხელ აღნიშნულა ქიმიის კათედრის სხდომაზე პროფ. ი. მოსეშვილის მიერ, მაგრამ რა გაკეთდა? დღემდე არაფერი. 1933 წლის ზაფხულის პერიოდში ლაბორატორიას, რომ მოემარაგებია საჭირო და აუცილებელი ნივთები ამისათვის კათედრამ გადასწყვიტა მოსკოვში მიევლინებია ამხ. თოფურიძე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ვერ შესრულდა, რადგან კათედრამ საჭირო თანხა დროზე ვერ მიიღო. კათედრამ ამის შემდეგ გამოიწერა მოსკოვიდან რაც შეიძლებოდა საჭირო მასალა, მაგრამ სამწუხაროდ მიღებულ მასალის გამოსატანი თანხაც ვერ მიიღო დროზე. პურჭლეულობა, რომელიც ძნელი საშოვნია, თავის ხელით მოუგროვებია თითოოროლა პროფ. ი. მოსეშვილს, განა ასეთი გზით შეიძლება ლაბორატორიაში შეიქმნას მუშაობის ნორმალური პირობები?

60 სტუდენტი გაიგზავნა ანალიტიური ქიმიის დასამუშავებლად ლაბორატორიაში 27 დღით, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მუშაობა არა შესაფერად მიმდინარეობდა სამუშაო დროის გაგრძელება უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო გეგმის შესრულებაზე. რატომ მოხდა მუშაობის ასეთი გაჭიანურება? იმიტომ, რომ სტუდენტობა მუშაობდა 5 კერასინკაზე, და მან დააგვიანა გეგმის დროზე შესრულება. პროფ. ი. მოსეშვილმა ამისათვის მიმართა, სადაც ჯერ არს, ტექნიკოსის გამოგზავნის შესახებ იმ მიზნით, რომ თვითეულ სტუდენტს ქონებოდა თავისი საკუთარი ხელსაწყო სამწუხაროდ არც ეს თხოვნა დაკმაყოფილდა ამ მდგომარეობის ასე უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

ი. ოკუჯავა.

როგორ ვატარებთ პრაქტიკას

ისტორიულ ლიტ. ფაკულტეტიდან პრაქტიკაზე გაშვებულია 146 სტუდენტი. ამ ფაკულტეტის მე-3 კურსი პრაქტიკას ატარებს პედაგოგიურ 10-წლედში. ძირითადი საგანი არის ისტორიები (რომის, საბერძნეთის, ფეოდალიზმის და კლასთაბრძოლის). გაკვეთილებზე დასწრება პედაგოგიურად და ტექნიკურად მოგვარებულია, შემოღებულია სააღრიცხვო რვეული და სხვა.

სკოლაში ისტორიების სწავლების საქმე და მასალების დამუშავების მეთოდები კარგად არის დაყენებული—ამ საქმეში დიდ ენერგიას იჩენს მასწავლებელი გეგეშიძის ქალი.

სწავლების მეთოდი ასეთია: გაკვეთილების გადაცემა 20—30 წუთით, დანარჩენი დრო კითხვებისათვის და განვლილი მასალების განმეორებისათვის არის გამოყენებული.

რაც შეეხება ლიტერატურულ მე-3 კურსის პრაქტიკას, აქ ადგილი აქვს სტუდენტების მიერ გაცდენას და დაგვიანებას. კურსი დაყოფილია ორ ნაწილად: ერთი ნაწილი იმყოფება 14 შრ. სკოლაში, მეორე—15 შრ. სკოლაში. ლიტერატურის სწავლების დონე დამაკმაყოფილებელია.

ბ. მანთიძე..

საღრიცხვო საგანი არ უნდა გავხადოთ სასესიოდ

საბ. ფაკულტეტზე არის ზოგიერთ ლექტორების მიერ ტენდენცია რომ სააღრიცხო საგანი, აქციონ იგივე სასესიოდ, ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რადგან საგანი არის არა სასესიოდ მას დამზადება რომ არ უნდა, მასში სტუდენტები ნაკლებ ცოდნას რომ იჩენდეს, სრულებით არა ჩვენ გვინდა სტუდენტის ყოველდღიურ მუშაობის შედეგის ზუსტი შეფასება წარმოებდეს, რომ საბოლოო ნიშნის დასმის საქმეში არ ექნეს ადგილი ზერელე შეფასებას სტუდენტის ცოდნისა.

აღრიცხვის საუკეთესო ნიმუშს იძლევიან დოც. ნ. კეცხოველი, პ. ცაგარელი (ბოტანიკაში), დოც. მ. ნოდია და კ. პაპინაშვილი (ფიზიკაში), პროფ. ციციშვილი და კახნიაშვილი (ქიმიაში) რომლის ფაქტს წარმოადგენს შემდეგი: სტუდენტს ეკითხებიან განვლილი მასალის გარშემო, პასუხის მიღების შემდეგ უკეთ გაღრმავების მიზნით უმატებენ ყოველ დეტალებსაც, რითაც საუკეთესო საშვალებას იძლევიან აღნიშნული ლექტორები მასალის საუკეთესოდ და საფუძვლიანად შესწავლისათვის, რომელ მეთოდიც აადვილებს საერთოდ ჯგუფისათვის მასალის შეთვისების საქმეს. გარდა ამისა ყოველდღიურად წვდებოდენ სტუდენტის ცოდნის სიღრმეში. რითაც აღნიშნულ ლექტორები ძირფესვიანად იცნობენ თვითეული სტუდენტს ცოდნის მხრივ. რაც აადვილებს საერთოდ საგნის აღრიცხვის საქმეს, რითაც უნდა იხელმძღვანელონ სხვებმაც. რათა აღრიცხვა ჩატარდეს, ისე როგორც ამას გვასწავლის 19 სექტემბრის ისტორიული დადგენილება.

ი. ო.

სტუდენტ ვალიკოს „კონსპექტი“

ვლაპარაკობთ ერთ „წვრილმან“ საკითხზე, ეს საკითხი შეეხება კონსპექტების შედგენას. აქ არაფერს არ ვიტყვით იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონსპექტს. მხოლოდ ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ ადგენენ მას და როგორ გახდა იგი ზოგიერთებისათვის მხოლოდ და მხოლოდ ძირითად სახელმძღვანელოდ.

ერთი ლექტორი შეეხო რა თავის ლექციაში საკითხს მიმდინარე პოლიტიკიდან აღნიშნა:

„კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკური წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამწვავდა“.

სტუდენტ ვალიკოს კალამი ამ ფრაზას ასე იწერს რვეულში;

„კოლექტივიზაციის„ „ნაფუზრებზე“ ბუნება კიდევ უფრო გამწვანდა.“

და ასე ამ რიგად ვალიკომ სხვა საგნებშიც **„ჩინებული“** კონსპექტი შეადგინა; **„ატომი“** ს ნაცვლად **„ატამი“** ჩაწერა, **„ცეცხლი“ს** ნაცვლად **„ვერცხლი“**, **„გაცხოველები„ს** ნაცვლად **„გაცხელება“**, ზოგან კიდევ ასოები გამორჩა და **„სოფლის“** ნაცვლად **„ოფლის„** გამოუვიდა. **„კანტი“ს** ნაცვლად **„ანტი“** და ა. შ. კონსპექტი ისე „დიდებულადაა“ შედგენილი, რომ შიგ ლექტორის უბრალო საუბარიცაა შეტანილი. მაგალითად **„დღეს ასე დავასრულოთ. საკმარისია. დანარჩენი შემდეგ ლექციისათვის“.**

სესიები დაიწყო... ვალიკომ საგანი მხოლოდ კონსპექტით მოამზადა, წიგნების წასაკითხად აბა სად ეცალა!.. ყველაფერი გაიზეპირა და ისე გავიდა გამოცდაზე.

ვალიკომ პროფესორთან ლაპარაკი დიდი რიხით დაიწყო... (რასაკვირელია კონსპექტის მიხედვით!) ნახევარი საათი იყბედა „ამწვანებელ ბუნებაზე“ როგოც იყო ამ სიტყვებით დაამთავრა: **„დღეს ასე დავასრულოთ· საკმარისია. დანარჩენი შემდეგ ლექციისათვის.“**

ლექტორი გაკვირვებით, მიჩერებოდა ვალიკოს ბოდვას... გაუკვირდა და იფიქრა; **„ნუ თუ ასეთი სისულელე ვასწავლე ჩემს სტუდენტებს?“** ო. უცებ თვალი მოკრა კონსპექტს, რომელიც ვალიკოს ხელში ეჭირა, რომ შიგ ხანდა ხან ჩაეხედა და ესარგებლა. გამოართვა და წაიკითხა. ყველაფერი გამოირკვა და ვალიკოს ასეთი დასკვნა გაუკეთა:

„დღეს დავასრულოთ ამით, საკმარისია. დანარჩენი მომავალ სესიებისათვის.“

დასკვნის შედეგათ კი საგამოცდო ფურცელში **„სუსტი“** იწერებოდა...

ა. დევიძე

ვინ რაზე მუშაობს

მოვუსმინოთ ასპ. ა. ჩავლეიშვილს

რამოდენიმე ასპირანტებს საშუალება მოგვეცა სწავლის გასაღრმავებლად მოსკოვში მოვსულვიყავით. მე მოვხვდი ბუბნოვის სახელ. სახ. პედ. ინსტიტუტში. ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მე შეუდექი მუშაობას. მიმაგრებული ვარ პროფ. ი. ნუსინოვთან, ჩემი ამოცანაა დისერტაციის დამუშავება, რომელიც თბილისში დოც. შ. დუდუჩავას ხელმძღვანელობით შევადგინე. ნუსინოვის რჩევით ინდივიდუალურ გეგმაში შევიტანე მცირე ცვლილება.

აწ 1 ივნისამდე მე უმთავრესად ვიმუშავებ ესტეტიკისა და ხელოვნების თეორიების შესასწავლად, ამჟამად ვმუშაობ კანტის, ჰეგელის, ბელინსკის და ჩერნიშევსკის ესტეტიკაზე. პარალელურად ამისა ვმუშაობ რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში. ამ მუშაობას ჩემთვის აქვს მთავარი მნიშვნელობა, რადგან ჩემი სადისერტაციო თემა, რომელსაც ეწოდება: „სახის პრობლემა მხატრულ ლიტერატურულ შემოქმედებაში“ საჭიროებს დიდძალ მხატრულ ფაქტიური მასალების ცოდნას.

ინტენსიურ მუშაობას ვაწარმოებ აგრეთვე დიალექტიური მატერიალიზმში საკმაოდ დავეუფლე გერმანულ ენას.

ასპ. ა. ჩავლეიშვილი

ვესწრები მოხსენებებს კომ. აკადემიაში შევიძინე მთელი რიგი ძვირფასი წიგნები, ვასრულებ საზოგადოებრივ და კ. კავშირულ დავალებებს. მატერიალურად სათანადოდ უზრუნველყოფილი ვარ. მუშაობის პირობები არის.

ალ. ჩავლეიშვილი

მოსკოვი.

მისაბაძი ჯგუფი

ეკ. ფაკ. მე-3 კურსის № 32 ჯგ. სამკუთხედმა პირველი სემეტრის სასწავლო გეგმა 100 პროც. შეასრულა.

ჯგუფის საშუალო ნიშანი უდრიდა 3,8; სოცშეჯიბრებაში ჩაბმული იყო მთელი სტუდენტობის 100 პროც. დამკვრელი იყო 45 პროც. გაცდენები 1-ლ სემესტრის ორ თვეში 50 აკად.-საათს უდრიდა, სემესტრის ბოლოს დაყვანილი იქნა 19 საათზე.

აღსანიშნავია ჯგუფის სამკუთხედის მუშაობა მე-2 სემესტრში. დამკვრელობა გაიზარდა—60 პროცენტამდე, მოხდა ორჯერ შემოწმება სოცშეჯიბრების და დამკვრელობის, ხდება სისტემატიურად წითელ და შავი დაფის გამოყენება, წითელ დაფაზე გაკრული იქნა—15 სტუდენტი, შავ დაფაზე—2 სტუდენტი.

მეორე სემესტრში მოვსპეთ უმიზეზო გაცდენები და მოწინავეთა რიგებში ჩავდექით.

ჯგუფში ჩამოყალიბებულია მე-17 პარტყრ. დადგენილებათა შემსწავლელი ბრიგადა, რომელიც ჯგუფში ამოწმებს სტუდენტებს თუ როგორ ეუფლებიან ისინი, და აწარმოებს მუშაობას ჯგ. წევრებში მე-17 პარტყრ. დადგენილებათა შესასწავლად.

ბ. კ.

სტუდ. დახურული კოოპერატივი უმოქმედოგას იჩენს

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა და რექტორატმა შესაფერი ღონისძიებანი მიიღეს სტუდენტთა მატერიალური და კულტურული ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის. საკმაოდ გაუმჯობესდა სტუდენტთა კვების საქმე—სადილების გაუმჯობესებით; სტუდენტებს აქვს უფასო აბანო; სტუდენტთა ქალაქში გაშლილია სოცშეჯიბრება სტუდენტებს შორის ოთახებში სისუფთავის დაცვისათვის; შემოღებული იქნა სასადილოს აბონემენტ-ჩეკები, რითაც სტუდენტობა მთელი თვის განმავლობაში უზრუნველყოფილია სადილებით სტუდენტები არც ერთ დღეს არ რჩება უსადილოთ. დღემდე თუ სადილის მიღებისათვის სტუდენტები რამოდენიმე საათს კარგავდა, ეხლა ეს საკითხი სავსებით მოგვარებულია.

მაგრამ სტუდენტთა მატერიალური კულტურული ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეში სახ. უნტის სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები ჩამორჩა.

კოოპერაციის ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველჰყო სახუნტის პარტკომიტეტის, რექტორატის და პროფორგანიზაციის დადგენილებების რეალიზაცია.

ტფ. სახუნტის სამკუთხედის დადგენილებაში ნათქვამია: **„ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ყოველ სტუდენტს ქონდეს საშუალება გაუმჯობესებული კვებისათვის, ყოველ სტუდენტს ქონდეს საშუალება სისუფთავის მაქსიმალურად დაცვისათვის. უნივერსიტეტის სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა შესძლოს, რომ ყოველი სტუდენტი მომარაგებული იქნეს საჭირო რაოდენობის თეთრეულით; ყოველ სტუდენტს უნდა ქონდეს არანაკლები ორი პრასტინა, ორი საბნის სარჩული, ორი ბალიშის პირი, სამი წყვილი საცვალი, პირსახოცი„** და სხვ.

მაგრამ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა, არამც თუ გარდაქმნა მუშაობა ამ მითითებათა საფუძველზე, არამედ ვერ შეძლო დაეყენებია ეს საკითხი მის უახლოეს ამოცანად.

ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციისათვის ერთი „მინუსი“ ისიც არის, რომ ის განიცდის სათანადო ასორტიმენტის საქონლის ნაკლებობას, რაც არის, ისიც მომეტებულად ძვირია.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი და იმავე ხარისხის ერთი და იმავე საქონელს საქვაჭრობის მაღაზიებში უფრო იაფად იყიდი, ვიდრე სტუდენტთა დახურულ კოოპერაციის მაღაზიაში. ამ არანორმალურ მდგომარეობას კოოპერაციის მუშაობაში ბოლო უნდა მოეღოს.

ალ. მამალაძე.

მოწინავე უჯრედი

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. კომიტეტმა დროულად გაშალა მუშაობა—მეხუთე ბოლშევიკური სასოფლო-სამეურნეო თესვის კამპანიაში მონაწილეობისათვის.

საგეგმო განყოფილების 1 და მე-2 კ. კომკავშირის უჯრედი ენერგიულად გამოეხმაურა კომიტეტის გადაწყვეტილებას. ამ საკითხზე უჯრედის მიერ შედგენილი იქნა კონკრეტული ვალდებულებანი: შეგროვილი და გადაცემული იქნა საშეფო სოფელზე თესვის კამპანიის შინაარსის პოპულიარული ბროშურა 392 ცალი—ნაცვლად 200 ცალისა, რვეული—199 ცალი, ნაცვლად 100 ცალისა ფანქარი—204 ც. ნაცვლად 200 ცალისა, და სამელნე 160 ცალი ნაცვლად 100 ცალისა. გამოწერილი იქნა 6 თვით 2 ცალი გაზ. „კოლექტივიზაცია“. ამას წინად მოვაწყვეთ შაბათობა. სადაც მონაწილეობა მიიღო 43 კომკავშირელმა და უპარტიო ახალგაზრდობამ.

მინდვრად მუშაობაში აიღეს მოწინავე როლი შემდეგმა სტუდენტებმა: **სივსივაძე ლ. ორაგველიძე გერონტი, ჭანტურიძე ზაქრო, რუხაძე ვარლამი, ბარდაველიძე, ცაავა გიორგი, ნიორაძე ანდრო, რუხაძე და სხვა.** ქალთა ბრიგადებიდან: **დაბრუნდაშვილი ანიკო, შეროზია ვერა, ბერეკაშვილი მარგო, ბახტაძე თინა, კიკავა ელენე, რაზმაძე ანა, ეფრემიძე, მელქაძე თინა, მგალობლიშვილი ქეთო და სხვა.**

აქვე უნდა იქნეს მხილებული და სასტიკად გაკიცხული ის ცალკეული კომკავშირელები, რომლებმაც გამოიჩინეს გულგრილი დამოკიდებულება შაბათობაზე მონაწილეობაში. ასეთებია: კ. კ-ლი ჩხენკელი გრიშა, რომელიც არ გამოცხადდა შაბათობაზე აცხადებს: „მუშაობაზე გამოვცხადდებოდი რომ არ დამძინებოდა“-ო. ამასვე იმეორებს კაკაბაძე მარიამი „დამეძინა და იმიტომ ვერ გამოვცხადდი“-ო, ჯიბლაძე ელენე—„ვერ გამომეღვიძა თავის დროზე და დავგვიანე“-ო.

ეს მაჩვენებელია იმის თუ რამდენად ვერ სდგას ზოგიერთი კომკავშირელი მოვალეობის შესრულების სიმაღლეზე. ეს სტუდენტები არა კომკავშირული მოქმედებით ჩირქს სცხებენ კომკავშირულ მუშაობას. მათ მიმართ ბიურომ მიიღო ორგზომები, დამუშავებულია კომჯგუფებში და გაიკვრენ შავ დაფაზე.

ა. ფაცურია.

მუშაკი დღეს

სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტში, გაერთიანებულია 800 მსმენელი დილა საღამოს ცვლით.

მთელი მუშაკის კოლექტივი იბრძვის საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის და საკავშირო კომპარტიის 5 აგვისტოს დადგენილების ბოლშევიკური რეალიზაციისათვის.

თუ პირველ ტრიმესტრში საერთოდ ყველა საგნებში ასწრებდა 45 პროც. მე-2 ტრიმესტრში დამკვრელ ერთი თვიურის შედეგათ ყველა საგნებში ასწრებს 59 პროც. აგრეთვე საკმაოდ შემცირებულია სუსტების რაოდენობა რაც უნდა მიეწეროს ზოგიერთი პედაგოგების ენერგიული მუშაობას. მუშაობა გაშლილია სამხედრო ფიზკულტურის დარგში, ჩვენი ფიზკულტუროსნები ანდრონიკაშვილისა და ზაუტაშვილის ხელმძღვანელობით იბრძვიან პირველობისათვის.

გვაქვს აგრეთვე ნაკლიც მაგ. სუსტად მუშაობს ადგილობრივი ლიტწრე, დრამწრე სუსტია აგრეთვე კლუბის მუშაობა მიუხედავათ იმისა, რომ სპეციალური ფასიანი მომუშავე ყავს, კლუბში არ გამოდის „ედლის გაზეთი და სხვა.

ილია გოლძვაძე.

მოწინავეები და ჩამორჩენილები

ეკონ. ფაკულტ. მაშტაბით მნიშვნელოვანი მუშაობა არის ჩატარებული გაცდენების მინიმუმამდე დაყვანისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ 100 პროც. ვერ უზრუნველვყავით გაცდენების საბოლოოდ ლიკვიდაცია. ასე მაგალითად: პროფ. პედაგოგთა მიერ მარტში გაცდენილია 209 საათი. აქედან საპატიოა 183 ს. არა საპატიოა 16 საათი. 1-ლიდან 23 აპრილამდე გაცდენილია 72 საათი, აქაც არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 10 საათი.

სტუდენტთა მიერ მარტში გაცდენა აღწევდა 4,46 პროცენტს. ეს აპრლიში დაყვანილ იქნა 1,1 პროცენტამდე. მომავალში ფაკულტეტის წინაშე მაინც საბრძოლო ამოცანათ რჩება გაცდენების 0-დი დაყვანის საკითხი.

ჩამორჩენილ ჯგუფებს ეკუთვნიან 18 ჯგუფი. **№ 14, 13, 7 და 25 ჯგ.** ამ ჯგუფებში გაცდენები ყველაზე მეტს აღწევს **მიმდინარე სასწავლო პერიოდში.**

ჰქონდა ადგილი მასწავლებელთა გაცდენებს მაგ. ცდებოდა რუსულ ენაში (მასწავლებელი კარბელაშვილი) ქართულ ენაში, მეურნეობის ისტორიაში მასწ. პაატა **გუგუშვილის** მიერ გაცდა საგრძნობი რაოდენობის საათები.

ზოგიერთ საგნებში იშვიათათ ტარდება კონსულტაციები, ეს კი ახდენს გავლენას საგნის შეთვისების ხარისხზე (მაგ. **პოლიტ. გკონომიაში, ცხასულტანტი ა. კაცია**) შემდეგ წითელ და შავ დაფას ზოგიერთ ჯგუფებში

4-ასეულის 2-რე ოცმეთაური
ამხ. **მილიცა ხარაძე.**

წესიერად ვერ იყენებენ არ აწყენიებენ ამხანაგებს. (მე-2 კურ. 10 ჯგ.).

საუკეთესო კონსპექტის შედგენაზე ფაკულტეტის მაშტაბით ჩაბმულია 147 ამხანაგი, საიდანაც კონსპექტი ჯერჯეროობით 5 სტუდენტს აქვს წარმოდგენილი.

მასწავლებელთა მიერ ინიშნება დამატებითი საათები, რაც მისასალმებელია, მაგრამ ზოგჯერ ჯგუფები არ ცხადდებიან ასე მაგ.: მანჯგალაძის მიერ (მატ. სტატისტიკა) დანიშნულ საათში არ გამოცხადდა მე-5 ჯგუფი.

ნ. დუშუაშვილი.

ქრონიკა

ახალი წიგნი: იბეჭდება და უახლოეს მომავალში გამოვა ასპ. **მ. ჩარექიშვილის** წიგნი პროფ. **კ. მეგრელიძის** რედაქციით თემაზე „მზა ტანსაცმელები და მზა ტანაცმელების სავაჭრო“ ს.

23 მაისს 2 საათ. გაზ. „ბოლშევიკურ კადრებისათვის“ რედაქციაში მოწვეულია კოროსპონდენტთა თათბირი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომრის კრიტიკით გამოვა **სტუდ. ნინუა** კორესპონდენტების დასწრება სავალდებულოა.

როგორ შევხვდით ერთთვიურს

უნივერსიტეტის პარტკომის დადგენილების წარმატებით განხორციელება **„ჩატარდეს 11 მაისიდან 11 ივნისამდე დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის კიდევ უფრო მეტად ამაღლების ერთთვიური“** დიდათ არის დამოკიდებული პედ-პერსონალთა მხრივ სტუდენტთა ჯგუფებისათვის ნამდვილ დახმარებაზე.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ამ მიზნით პროფესორ-ლექტორთა და უმცროს თანამშრომელთა შორის დროულად გაიშალა მუშაობა.

მუშაობა გაიშალა აგრეთვე სტუდენტთა შორის როგორც უნივერსიტეტში, ისე საერთო საცხოვრებლებში. ჩატარდა კონსულტაცია, მოეწყო დამატებითი საათები და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია როგორც ქიმიის, ისე ზოოლოგიის და ბოტანიკის კათედრების (**ს. კახნიაშვილი, რატიანი, პ. ცაგარელი, თ. კაკაურიძე, ჯანაშვილი**) ასისტენტ-თანამშრომელთა მუშაობა. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი სუსტი სტუდენტები არ ესწრებიან კონსულტაციებს, რასაც ჯგუფის სამკუთხედებმა სასტიკად უნდა დაარტყას.

ფაკულტეტზე 1-ლ და მე-2 კურსთან ლექტორების: **ვაჩნაძის სალარაძის და ქინქლაძის** ხელმძღვანელობით რუსულ ენაში ჩამოყალიბდა სამი ჯგუფი სუსტების გამოსწორებისა და სხვა დაინტერესებულ სტუდენტთა უკეთ მუშაობისათვის.

ყოველგვარი ზომებია მიღებული მომავალი სასწავლო წლისათვის სტუდენტთა სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად.

ფაკულტეტის ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა პარტკომის დადგენილების ბოლშევიკური რეალიზაცია.

ს. გამცემლიძე

პროგრამა დავასრულეთ

ეკონომიურ ფაკულტეტის მე-16-ე ჯგუფში, ფიზიკური გეოგრაფიის საგანს კითხულობს პროფ. **ალ. ჯავახიშვილი,** სასწავლო წლის განმავლობაში, არც ერთი სალექციო საათი არ გაუცდენია მას და არც დაგვიანებით მოსულა ლექციაზე. აღნიშნული საგნის წაკითხვა დაამთავრა 13 მაისს სრული პროგრამით. ამრიგად გეგმა შესრულებულია ვადაზე ადრე.

დარჩენილ დროს სესიებამდე საგნის განმეორებას მოვანდომებთ, პროფესორის უშუალო ხელმძღვანელობით, რითაც უზრუნველვყოთ საგნის საფუძვლიანად შესწავლას და ჩაბარების მაღალ მაჩვენებლებს.

სოსო ჭანტურიძე.

ძეგლის გახსნა

11 მაისს სახ. უნივერსიტეტის ეზოში ამხ. ფილიპე მახარაძის თავჯდომარეობით მოხდა პროფ. პ. მელიქიშვილის ახლად დადგმული ძეგლის საზეიმო გახსნა. საზეიმო გახსნას დაესწრო დიდძალი სტუდენტობა პროფესორ ლექტორთა შემადგენლობა და მთავრობის წარმომადგენლები.

ამხ. მახარაძის შესავალ სიტყვის შემდეგ სიტყვებში გამოვიდენ პროფ. შ. ნუკუბიძე პროფ. ციციშვილი.

სხდომის გაგრძელება მოხდა სახუნტის კლუბში უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ლ. აღნიაშვილის თავმჯდომარეობით სიტყვები წარმოთქვენ ამხ. კ. ჭკუასელმა შ. სიხარულიძემ და სხვა.

ტირაჟი 2800 — სახელმწიფო უნივერსიტეტის ტიპო-ლიტოგრაფია — მთავლიტის რწმუნებული გ. № 397